

	ნამუშევრის კომპოზიცია და სტილი	თემის გახსნა	სისტემატიზაციის უნარები	ანალიტიკური უნარები	კრეატიულობა და კომუნიკაცია	თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართება
5 - ქულა	ავტორის მიერ გამოყენებული ტექსტის კომპოზიცია ხელს უწყობს თემის მიზნების და ამოცანების გახსნას, აადვილებს მათ აღწერას და კვლევის რეზულტატების გაგებას; სრულად არის დაცული წერის აკადემიური სტილი	ნაშრომში თემა სრულად არის გახსნილი და პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში ჩანს სისტემური დისციპლინათმორისი მიდგომა და სამუშაო ინფორმაციის სინთეზური გააზრების უნარი	თვალსაჩინოა სისტემური, ანალიტიკური მიდგომა, აზროვნების ლოგიკური თანმიმდევრულობა, სინთეზის უნარი	ნაშრომში ჩანს მაღალი სამეცნიერო კრეატიულობა, კომუნიკაციური მეთოდების დამოუკიდებელი ხედვა	მიზნის და ამოცანების დასახვის დროს ჩანს სიტუაციის პროგნოზირების, მათი გახსნის და გადაწყვეტის-კონტექსტუალური უნარი; მზადყოფნა თეორიის პრაქტიკული კორექტივების ასაღქმელად
4 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია შეესაბამება თემის მიზნებს და ამოცანებს და კარგად არის დაცული წერის აკადემიური სტილი	ნაშრომში თემა კარგად არის გახსნილი და პასუხობს დასახულ ამოცანას	ნაშრომში ჩანს წყაროების ფართო ბაზის ზუსტი კლასიფიკაცია, არსებული ინფორმაციის კრიტიკული კომპილაცია, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი	ჩანს აზრების ლოგიკური თანმიმდევრულობა, დამოუკიდებელი კრიტიკული მსჯელობა, ანალიზის უნარი კარგი სინთეზური აზროვნების ფონზე	ნაშრომში ჩანს კრიტიკულ უნარებში გამოხატული დამოუკიდებელი სამეცნიერო აზროვნება, ინდივიდუალური კომუნიკაციური სტილი	მიზნისა და ამოცანების დასახვის დროს ჩანს ავტორის საღი აზრის თეორიული დასაბუთება, საკითხების მოქნილი გახსნა და გადაწყვეტა
3 - ქულა	ტექსტის სტილი და კომპოზიცია შეესაბამება თემის ამოცანებს, დაცულია წერის აკადემიური სტილი და გრამატიკული ნორმები ხელს არ უშლის აზრის სწორად აღქმას	ნაშრომში თემა ძირითადად არის გახსნილი პასუხობს ამოცანას	ნაშრომში ჩანს წყაროების ზოგადი კლასიფიკაცია, არსებული ინფორმაციის კრიტიკული კომპილაცია, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი	ჩანს ალგორითმების კარგი გაგება და გამოყენება, მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრულობა	ნაშრომში ზოგადად ჩანს კრიტიკული სამეცნიერო აზროვნება, იკვთება ცალკეული ელემენტების მიმართ კრეატიული კომუნიკაციის უნარი	მიზნების და ამოცანების დასახვა ცხადყოფს როგორც თეორიულ ინფორმირებულობას, აგრეთვე საკითხისადმი რეალურ მიდგომას, თუმცა პრაქტიკული გადაწყვეტა ზედმეტად სწორხაზობრივია
2 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია აკმაყოფილებს თემის ძირითად მოთხოვნებს, წერის აკადემიური სტილი ამოცანების არა ადექვატურია	ნაშრომში თემა ნაწილობრივ არის გახსნილი ამოცანების გადაწყვეტა არ არის დამაკმაყოფილებელი	ჩაშრომში დამაკმაყოფილებლად ვლინდება საინფორმაციო საშუალებებში ორიენტაცია, წყაროების კლასიფიციერების უნარი	ჩანს მოცემული ალგორითმების არა ზუსტი თანმიმდევრობა, საკითხის ვიწრო გააზრება, არალოგიკური მსჯელობა	ნაშრომში ნაწილობრივ ჩანს მეცნიერული კრეატიულობა, კომუნიკაცია არარეფლექსურია	ჩანს არარეალური მიზნების და ამოცანების დასახვა, არასწორი პრაქტიკული გადაწყვეტა
1 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია ხელს არ უწყობს თემის ამოცანების გახსნას, სტილი არაადექვატურია, გრამატიკული შეცდომები ართულებს ტექსტის გაგებას	ნაშრომში არ ჩანს თემის ირგვლივ წყაროების ცოდნა და ვერ პასუხობს დასახულ ამოცანას	სისტემატიზაციის უნარი უმნიშვნელოა თემის არაადექვატური გაგების ან წყაროების მინიმალური ცოდნის ფონზე	ჩანს ლოგიკური შეცდომები, თემის შეზღუდული და/ან არაადექვატური ინტერპრეტაცია	ნაშრომში არ ჩანს სამეცნიერო და კომუნიკაციური კრეატიულობის გამოხატვის პრაქტიკული მოტივაცია	ჩანს საკითხის მიზნების და ამოცანების არასწორი დასაზ, თეორიული და პრაქტიკული დეზორიენტაცია
0 - ქულა	ტექსტის კომპოზიცია დასახული მიზნის შეუსაბამოა და დარღვეულია ენის სტილისტური ნორმები	ნაშრომში არ არის გახსნილი თემა და არ ჩანს ამოცანების გადაჭრის გზები	არ აქვს სისტემატიზაციის უნარი, არ იცნობს წყაროებს	არ ჩანს ლოგიკური მსჯელობა და ანალიტიკური უნარები	არ არსებობს კრეატიულობა და კომუნიკაციის უნარი	სრული შეუსაბამოა თეორიისა და პრაქტიკის შორის